ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

KA010123834433615

№10712

15 / სექტემბერი / **2015** წ.

შპს ეტალონი.

საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, დიდი ხეივნის ქ.№2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში თქვენს მიერ შემოსული №2346/12 წერილის პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ექსპლუატაციაშიმიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ბ-2346/07

"07" 09 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ქუჩა დიდ ხეივანში (საკ. კოდი №01.18.5.008.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოსამრეცხაო) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1791003 19.03.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ქუჩა დიდ ხეივანში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„თ-ა" ფასადზე: ა-ა, ე-ე და ზ-ზ ღერძებზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. ე-დ მონაკვეთში მდებარე კონტეინერზე დამატებით მოწყობილია ჟალუზები.
„გეგმა ნიშნულზე ±0.00" 2-3 ღერძებს შორის ა-თ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის დეტალები.
„სახურავის გეგმა" ვ-ე მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სარეკლამო ბურთი.
„გენ-გეგმა" 1-1 ღერძის გარეთ გაუქმებულია ცხაურები.

ოფისის და საწყობის შენობა

„2-1" ფასადზე: გაუქმებულია კარი და დამატებით მოწყობილია ფრამუგა. 1-1 ღერძისკენ ფანჯრის სიგრძე შემცირებულია.
„1-2" ფასადზე: დამატებით მოწყობილია საჰაერო.
„გეგმა ნიშნულზე +3.10" დამატებით მოწყობილია კონდიციონერი.

ერლეს სარეკლამო ბეტონის კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი.
ტერიტორიის შემომსაზღვრელი ლითონის ღობე ნაწილობრივ ცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის,

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თამარ დევაძეს, ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, ქუჩა დიდ ხეივანში (საკ. კოდი №01.18.5.008.001) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოსამრეცხაო) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №2346/07 14.08.2015წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**